



## ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

განყოფილების უფროსი: სოფიო ხაბაზი

ტელ: 599 85 12 21

ელ. ფოსტა: [sofio.khabazi@gmail.com](mailto:sofio.khabazi@gmail.com)

დაუყოვნებლივ გასავრცელებლად!

### ა ნ ო ნ ს ი

#### ქედაში პირველად „ქედის ღვინის ფესტივალი“ გაიმართება

2019 წლის 7 ივლისს, დღის 16 საათიდან, მახუნცეთში, რესტორანი „ჭადრები“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, „ქედის ღვინის ფესტივალი“ გაიმართება.

ფესტივალის მიზანია ქედის ღვინის პოპულარიზაცია, ქედაში შემორჩენილი უნიკალური ვაზის ჯიშების წარმოჩენა, მევენახე/მეღვინე ფერმერების მოტივაციის ამაღლება და მუნიციპალიტეტში „ღვინის უძველესი გზის“ გამოცოცხლება. ფესტივალს საფუძველი წელს ჩაეყრება და მომდევნო წლებშიც გაიმართება.

ნომინაციებში: „საუკეთესო წითელი ღვინო“ – 2, „საუკეთესო თეთრი ღვინო“ – 2, „საუკეთესო ვარდისფერი ღვინო“ გამარჯვებული ფერმერები გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან.

ღვინის გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონის მეღვინე/ფერმერები.

ფესტივალი მრავალფეროვანი პროგრამით იქნება დატვირთული. მოწვეულნი არიან ტურისტები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საზოგადოებისა და ხელისუფლების წევრები.

ფესტივალის ბიუჯეტი 21 000 ლარია. ღონისძიებას ორგანიზებას ქედის მუნიციპალიტეტის მერია და აჭარის ა რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაუწევს.

## ანოტაცია

ის, რომ ქედაში ტურისტთა რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია და განსაკუთრებით უცხოელ ვიზიტორებს ბუნების უნიკალურობის გარდა, ხიბლავთ ქედის ღვინო და ფოლკლორი, ადგილობრივი მეწარმეები შეიძლება ითქვას, ყოველდღიურ რეჟიმში აფართოებენ საოჯახო ღვინის მარნების ქსელს, ზრდიან ღვინის წარმოებას და ახალ ვაზის ბაღებს აშენებენ. სწორედ, ამიტომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ გადაწყვიტა ქედის ღვინის პოპულარიზაციის მიზნით გაემართა „ღვინის ფესტივალი“, რომელიც შემდეგ წლებში უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

### მეღვინეობა ქედაში

აჭარაში მევენახეობის ისტორიულ კერად მიჩნეულია ქედის მუნიციპალიტეტი, სადაც მევენახეობა უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად ითვლებოდა. ამას მოწმობს მდიდარი ისტორიული მასალები, მიწაში დამარხული ჭურები და ქვაში ნაკვეთი საწნახელები.

ამჟამად ქედის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია შვიდი ქვაში ამოკვეთილი (ზუნდაგა, ძენწმანი, ორცვა სამი, ოქტომბერი, აქუცა ამჟამად ღვინის სახლშია გადატანილი) და ერთიც (კოკოტაური) ქვით ამოშენებული საწნახელი. უნდა აღნიშნოს, რომ ამდენი საწნახელი არცერთ რეგიონში არ არის ნაპოვნი. ამათგან გამორჩეულია ძენწმანის ქვაში ნაკვეთი საწნახელი, რომელსაც სხვადასხვა სახის რიტუალების ჩასატარებელი ადგილი გააჩნია.

ქედაში უნიკალური ყურძნის ჯიშებია გავრცელებული, მათ შორის თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში ცოლიკაური, მისგან ადგილობრივი და ევროპული ტიპის სუფრის და ბუნებრივად ნახევრად ტკბილ ღვინოებს ამზადებენ. ასევე ჩხავერი - ვარდისფერყურძნიანი ვაზის ჯიში. მისგან დამზადებული ღვინო ვარდისფერი ელვარებით, მეტად ნაზი, ჰარმონიული ბუკეტით და არომატით გამოირჩევა.

## პ რ ო გ რ ა მ ა

16 საათი - ფესტივალის გახსნა

ღვინის სახეობების გამოფენა

ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი

18: 30 საათი - ფოლკ-ბენდი „ელესა“

19: 30 საათი - გამარჯვებული მეღვინეების დაჯილდოება

20 საათი - ტრიო „ალილო“

21 საათი - ფესტივალის დახურვა

ფრანების შოუ, ფოიერვერკი

პ.ს. დღის განმავლობაში, ქედის მერიის ორგანიზებით, მახუნცეთის ჩანქერის ტერიტორიიდან - რესტორან „ჭადრები“-ს ტერიტორიამდე მგზავრებს ტრანსპორტი უფასოდ მოემსახურება.